385
1976/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 8 (427)

1976 წლის აგვისტო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 8 (427) აგვისტო 1976 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

131. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. კუჭავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

132. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. დ. ქინქლაძის საქართველოს სსრ განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

133. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების რუსთავის № 688 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

134. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის № 172 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

135. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ორჯონიკიძის № 44, გარდაბნის რაიონის ქესალოს № 74, ყვარლის რაიონის ყვარლის № 190 და ქალაქ ქუთაისის თბილისის № 232 საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

136. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. პ. ისაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესრულებაზე დაშვების შესახებ.

ქ. მარქსის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

137. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. პ. სორდია-შევცოვას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ.

138. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ.

139. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა 1976 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ.

140. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „წიაღის შესახებ" საქართველოს სსრ კოდექსის პროექტის თაობაზე.

141. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის სახელზე შემოსული დეპეშების, განცხადებებისა და საჩივრების შემოწმების შედეგების შესახებ.

142. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1976 წლის პირველ ნახევარში შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვის მდგომარეობისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ.

## განყოფილება მეორე

143. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

144. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

145. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

146. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხელოვნების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

147. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. რ. ცირდავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

148. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

149. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ა. დოლონაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

150. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ა. ნალბანდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

151. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ს. პილიუგინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

152. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. მ. შაკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

153. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ლ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საინფორმაციო ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 131 ამხ. მ. ი. კუჭავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. მიტროფანე იონას ძე **კუჭავა** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 5 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 132 ამხ. ო. დ. ქინქლაძის საქართველოს სსრ განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ოთარ დანიელის ძე **ქინქლაძე** საქართველოს სსრ განათლების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 9 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 133 საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების რუსთავის № 688 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 43-ე, 44-ე და 45-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების რუსთავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 688 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა საზოგადოებებისა და კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — თეიმურაზ ივანეს ძე **ხაზარაძე** პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ალახვერდი ალი ოღლი **უმბატოვი** — მარნეულის რაიონის 26 კომისრის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — მამუკა ალექსანდრეს ძე **ასლანიკაშვილი** — პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

### საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მერაბ ვლადიმერის ძე **ასანიშვილი** — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის რუსთავის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

ვალენტინა ალექსანდრეს ასული **ტიმოფეიჩევა**—რუსთავის ქიმიური ქარხნის ამიაკის სინთეზის № 2 საამქროს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

შურა ვასილის ასული **სტეფანიშვილი** — მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის პირველადი ორგანიზაციისაგან;

რუიზან ვლადიმერის ასული **ბიკაშვილი** — წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

უგურლუ ორუჯ ოღლი **გუსეინოვი**—ბოლნისის რაიონის ფახრალოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლამარა მათეს ასული **სარიშვილი**—სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

აზადა ასლანის ასული **ისკანდაროვა** — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის მარნეულის საქალაქო საავადმყოფოს პირველადი ორგანიზაციისაგან;

მაია ბაირამ ყზი **გუმბათოვა** — დმანისის რაიონის ეგრისის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

**თბილისი. 1976 წლის 13 აგვისტო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 134 საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის № 172 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 47-ე, 48-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის № 172 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა საზოგადოებებისა და კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — სლავა ალექსანდრეს ძე **ჯანჯღავა** — გეგეჭკორის რაიონის ინჩხურის შეროზიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — იური ნიკოლოზის ძე **ჭანტურია** — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის აბაშის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — სერგო ალექსანდრეს ძე **ფაცაცია** — საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიონული კომიტეტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

ბორის შალვას ძე **ოკუჯავა** — გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ნარგიზა ოთარის ასული **ფანცულაია** — გეგეჭკორის რაიონის ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლამარა აბრამის ასული **დარსალია** — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

მარგალიტა ანდრიას ასული **პაპასქირი** — ჩხოროწყუს რაიონის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

შაქრო ცხონას ძე **შენგელია** — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

გალაქტიონ ლავრენტის ძე **ჯანაშია** — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

თამარ დიმიტრის ასული **ჩოჩია** — სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის აბაშის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ანდროს ასული **აბუსერიძე** — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1976 წლის 13 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 135 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ორჯონიკიძის № 44, გარდაბნის რაიონის ქესალოს № 74, ყვარლის რაიონის ყვარლის № 190 და ქალაქ ქუთაისის თბილისის № 232 საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 39-ე, 40-ე და 41-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ორჯონიკიძის № 44, გარდაბნის რაიონის ქესალოს № 74, ყვარლის რაიონის ყვარლის № 190 და ქალაქ ქუთაისის თბილისის № 232 საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიები საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა საზოგადოებების და კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

**თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ორჯონიკიძის № 44 საარჩევნო ოლქი**

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — სერგო მანასეს ძე **ჯორბენაძე** — შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — თამაზ გრიგოლის ძე **მარდალეიშვილი** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — ლია გიორგის ასული **კობალაძე** — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი ორგანიზაციისაგან.

მუხ. 135
ეროვნული
ბიბლიოთეკა

### საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ოთარ მიხეილის ძე **ჯაფარიძე** — შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ევგენი ტიმოთეს ძე **ტარანი** — თბილისის ტყავსაგალანტერიო ფაბრიკის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ნელი მიხეილის ასული **ჯაფარიძე** — საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის ტყავსაგალანტერიო ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ასია სარქისის ასული **მარქარიანი** — საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის № 1 ავეჯის ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ტატიანა ვლადიმერის ასული **შათირიშვილი** — საქართველოს „ბუნების მეგობრის" საზოგადოების თბილისის № 1 ავეჯის ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ლილი გიორგის ასული **ორთოიძე** — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

### გარდაბნის რაიონის ქესალოს № 74 საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — აკაკი ივანეს ძე **ჟღენტი** — ნაზარლოს მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ლუარსაბ ვასილის ძე **მიმინოშვილი** — ულიანოვკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — ლიდია ვალენტინის ასული **ავდიევა** — მზიანეთის რვაწლიანი სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

### საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

საბირ ოსმან ოღლი **ისაევი** — რუისბოლოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ხანუმ ალიფაშა ყზი **ალიევა** — ნაზარლოს დაწყებითი სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან;

შურა ალახიარ ყზი **ისმაილოვა** — რუისბოლოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

იბად ასად ოღლი **ისკანდაროვი** — ჯანდარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ანეტა სარქისის ასული **კენკებაშვილი** — ულიანოვკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფლატუნ მამედოღლი **მამედოვი** — ჯანდარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

### ყვარლის რაიონის ყვარლის № 190 საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — ზაალ ივანეს ძე **იოსებაშვილი** — ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ივანე ივანეს ძე **ელოშვილი** — ყვარლის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — ლეილა ნიკოლოზის ასული **ნასყიდაშვილი** — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ყვარლის რაიონული ორგანიზაციისაგან.

### საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

გურამ იოსების ძე **უამუტაშვილი** — „საქსოფლტექნიკის" ყვარლის რაიონული განყოფილების პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ოთარ გიორგის ძე **ბეუქლიშვილი** — ყვარლის ქინძმარაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ნუნუ ისაკის ასული **ჟურულიშვილი** — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის ყვარლის ფილიალის პირველადი ორგანიზაციისაგან;

დალი დიმიტრის ასული **ხაბარაშვილი** — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ალექსი ივანეს ძე **აგურაშვილი** — სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ლენა სიკოს ასული **ზანდარაშვილი** — გაზეთ „ყვარლის" რედაქციის და სტამბის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

### ქალაქ ქუთაისის თბილისის № 232 საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — ჯემალ იაკობის ძე **კემულარია** — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათაო საწარმოს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — თინა ნოეს ასული **ყუფარაძე** — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის კინოგაქირავების კანტორის ქუთაისის განყოფილების პირველადი ორგანიზაციისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — არჩილ მიხეილის ძე **ბარდაველიძე** — ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

ნატალია რეზოს ასული **მუშკუდიანი** — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქუთაისის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „გელათის“ პირველადი ორგანიზაციისაგან;

შიო არჩილის ძე **ჯიშკარიანი** — საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის ქუთაისის მსუბუქი ტაქსმოტორული ავტოსატრანსპორტო საწარმოს პირველადი ორგანიზაციისაგან;

სერგო ერისტოს ძე **მამრიკიშვილი** — საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათაო საწარმოს პირველადი ორგანიზაციისაგან;

დიტო ამბროსის ძე **გოჩელაშვილი** — ქუთაისის 22-ე საშუალო სკოლის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

წორა მათეს ასული **ჩუბინიძე** — საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

ნარგიზა მიხეილის ასული **ჩოგოვაძე** — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1976 წლის **13 აგვისტო.**

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 136 ამხ. ლ. პ. ისაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაშვებულ იქნეს ამხ. ლამარა პარმენის ასული **ისაკაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიამდე

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1976 წლის **13 აგვისტო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 137 ამხ. ლ. პ. სორდია-შევცოვას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაშვებულ იქნეს ამხ. ლამარა პროკოფის ასული **სორდია-შევცოვა** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიამდე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1976 წლის 13 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 138 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე და მეხუთე ნაწილები:

„სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება, მაგრამ შეიძლება გაპროტესტდეს ზედამხედველობის წესით.

სახალხო სასამართლო თავისი გადაწყვეტილების ასლს მისი მიღებიდან სამი დღის ვადაში აძლევს განმცხადებელს და უგზავნის ადმინისტრაციული წესით დამჯარიმებელ ორგანოს ან თანამდებობის პირს“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1976 წლის 31 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 139 1976 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1976 წლის პირველი ნახევრის შედეგები აღნიშნავს, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXV და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლის დადგენილებით პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებებით და კანონებით საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების შესახებ, არსებითად გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. ყოველივე ამან განაპირობა საბჭოების კავშირის განმტკიცება მასებთან, გააძლიერა მათი გავლენა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე და ხელი შეუწყო ნახევარი წლის გეგმა-ვალდებულების ვადამდე შესრულებას.

საბჭოების მუშაობის გააქტიურებაზე დამაჯერებლად მეტყველებს ის, რომ სესიებზე განხილულია საკითხები, რომლებიც მოიცავენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს. საჭირო ყურადღება ეთმობოდა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, დეპუტატების ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე. საბჭოების სესიები, როგორც წესი, მოწვეულია კონსტიტუციით დადგენილ ვადებში. 1976 წლის პირველ ნახევარში ადგილობრივი საბჭოების 3.587 სესიაზე განხილულია 7.446 საკითხი, მათ შორის 1.404 საკითხი გეგმა-ბიუჯეტის შესახებ.

მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებასთან დაკავშირებით სესიებზე მოსმენილია 112 საკითხი. სესიების მსჯელობის საგანი იყო აგრეთვე საკითხები სოფლის მეურნეობის განვითარების, მიწების რაციონალურად გამოყენებისა და ბუნების დაცვის შესახებ.

სესიებზე განხილული საკითხებიდან ვაჭრობას, საზოგადოებრივ კვებას და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას ეხებოდა 365 საკითხი, საბინაო-კომუნალურ მეურნეობასა და კეთილმოწყობას — 173, სახალხო განათლებას და კულტურას — 639, ჯანმრთელობის დაცვას და სოციალურ უზრუნველყოფას — 325, სოციალისტურ კანონიერებასა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას — 611, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას — 160 საკითხი.

სესიების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ დეპუტატები. საანგარიშო პერიოდში სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 19.061 დეპუტატმა, ანუ მთელი შემადგენლობის 38,8 პროცენტმა.

ბევრ რაიონსა და ქალაქში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. 24.081 განაწესიდან უკვე შესრულებულია 15.871, ანუ 65,9 პროცენტი.

კარგადაა ორგანიზებული განაწესების შესრულების საქმე გორის, ზუგდიდის, ტყიბულის, ქუთაისის საქალაქო, აბაშის, ზესტაფონის, თერჯოლის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, სიღნაღის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალენჯიხის და სხვა რაიონულ საბჭოებში.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები უფრო მეტად ეხმარებიან დეპუტატებს მოვალეობათა შესრულებაში; უზრუნველყოფენ საჭირო მასალებით, აცნობენ აღმასკომების და სესიების გადაწყვეტილებებს, აგრეთვე ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებებს და მათი შესრულების მიმდინარეობას.

გაუმჯობესდა დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმე. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ადგილობრივი საბჭოს 49.151 დეპუტატიდან ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა 47.942 დეპუტატმა (97,8 პროცენტი).

ქ. ქ. გორში, ზუგდიდში, ქუთაისში და ჭიათურაში, ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, ორჯონიკიძის, წყალტუბოს, ზესტაფონის, აბაშის, წალენჯიხის, ცხაკაიას და სხვა რაიონებში ადგილობრივი საბჭოების თითქმის ყველა დეპუტატმა ჩააბარა ანგარიში ამომრჩევლებს. დეპუტატებმა სესიებზე შეკითხვის წესით დააყენეს 625 საკითხი.

აღმასკომების უმრავლესობა საჭირო დახმარებას უწევს მუდმივ კომისიებს. ბევრი კომისია აქტიურად მონაწილეობს სესიებისა და აღმასკომების სხდომების განსახილველ საკითხთა მომზადებაში, გამოდის მოხსენებით და თანამოხსენებით სესიაზე.

1976 წლის პირველ ნახევარში მუდმივმა კომისიებმა სესიებისათვის მოამზადეს 4.569 საკითხი, ხოლო სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვადასხვა საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ 4.059-ჯერ. გარდა ამისა, მათ აღმასკომების სხდომებისათვის მოამზადეს 11.666 საკითხი. 1.962 კომისიამ მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბარა შესაბამისი საბჭოს სესიას.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების სათანადო ხელმძღვანელი კადრებით დასაკომპლექტებლად და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ყველა რაიონულ და საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შექმნილია საბჭოთა მშენებლობის ორწლიანი სკოლა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების, მდივნების, მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისა და აქტივისათვის.

ამასთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან საბჭოების შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი დადგენილებებიდან და საქართველოს სსრ კანონებიდან საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოს შესახებ.

ზოგიერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას არ უკავშირებს რაიონის, ქალაქის, სოფლის, დაბის წინაშე მდგარ სამეურნეო ამოცანებს, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას, ნაკლებად ზრუნავს არსებული რეზერ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვების გამოყენების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, გვერდს უვლის სოციალისტური კანონიერების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების, საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დარღვევის ფაქტებს, სათანადო ყურადღებას არ უთმობს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობას, საბჭოების გადაწყვეტილებებისა და ზემდგომი ორგანოების დადგენილებების შესრულების შემოწმებას.

არის შემთხვევები, როდესაც საბჭოების აღმასკომები ვერ უზრუნველყოფენ სესიების მოწვევას კონსტიტუციით დადგენილ ვადებში. 1976 წლის 6 თვეში სესიების ჩატარების ვადა დაარღვია 2 აღმასკომმა (თბილისის კიროვის რაიონის და ბოლნისის საქალაქო საბჭოები).

ზოგიერთი აღმასკომი არასაკმარისი ყურადღებით ეკიდება დეპუტატებთან მუშაობას, გამოყოფილი და მოწყობილი არა აქვს დეპუტატის ოთახი ან კუთხე, არ აწვდის მათ საცნობარო მასალას საბჭოს და აღმასკომის მუშაობის თაობაზე. ამის შედეგია, რომ დეპუტატების ნაწილი ვერ აბარებს ანგარიშს ამომრჩევლებს.

აღნიშნულ პერიოდში 49.151 დეპუტატიდან ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 1.089 დეპუტატს, ანუ მთელი შემადგენლობის 2,2 პროცენტს. მაგალითად, ქალაქ რუსთავში ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 92 დეპუტატს, ბოგდანოვკის რაიონში — 134-ს, გარდაბნის რაიონში — 106-ს, საგარეჯოს რაიონში — 45 დეპუტატს და ა. შ.

არის რაიონები, სადაც დარღვეულია ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნა საბჭოს შემადგენლობიდან გასული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევის შესახებ. არჩევნები მშრომელთა დეპუტატების მე-15 მოწვევის ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობიდან გასული დეპუტატების ნაცვლად არ ჩატარებულა 93 ოლქში, აქედან. 2 ოლქში ორ თვეზე მეტია გასული (მცხეთის და საგარეჯოს რაიონები).

აღმასკომების ნაწილი ნაკლებად ზრუნავს ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაზე. ლაგოდეხის რაიონულმა საბჭომ 15 განაწესიდან შეასრულა 3, ხაშურის რაიონულმა საბჭომ 20 განაწესიდან — 9, ახალციხის რაიონულმა საბჭომ 23 განაწესიდან — 10 და ა. შ.

ზოგიერთი მუდმივი კომისია ვერ ახორციელებს კანონით მინიჭებულ უფლებებს — არ უწევს სათანადო კონტროლს საბჭოებისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას, იშვიათად შეაქვს საკითხები საბჭოს სესიებისა და აღმასკომების სხდომების განსახილველად.

ბოგდანოვკის რაიონული საბჭოს ტრანსპორტის, საგზაო მშენებლობის და კავშირგაბმულობის, სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, გარდაბნის რაიონული საბჭოს სოფლის მეურნეობის და ახალგაზრდობის საქმეთა, გურჯაანის რაიონული საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, დმანისის რაიონული საბჭოს ტრანსპორტის, საგზაო მშენებლობის და კავშირგაბმულობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, სიღნაღის რაიონული საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, წყნეთის სადაბო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის, გეგეჭკორის სადაბო საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივ კომისიებს 1976 წლის პირველ ნახევარში არც ერთი საკითხი არ მოუმზადებიათ სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის და არ გამოსულან სესიებზე მოხსენებებით და თანამოხსენებებით.

საანგარიშო პერიოდში ბევრ სასოფლო საბჭოში შეიცვალა ხელმძღვანელობა, მაგრამ რიგ შემთხვევაში მათ ნაცვლად აირჩიეს პირები, რომლებიც არ არიან დეპუტატები (29 თავმჯდომარე, 2 მოადგილე, 16 მდივანი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მთელი თავიანთი საქმიანობა წარმართონ სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკპ 1976 წლის ივნისის დადგენილების, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონების შესაბამისად. აამაღლონ და განამტკიცონ საბჭოების როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, უზრუნველყონ, რომ ისინი სისტემატურად სწავლობდნენ და განიხილავდნენ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის მნიშვნელოვან საკითხებს და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების და სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას;

ბ) მტკიცედ დაიცვან სესიების მოწვევის კონსტიტუციური ვადები, აამაღლონ მათი ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადების დონე, სესიებისა და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები, მათ მომზადება-განხილვაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. ამასთან სესიებზე რეგულარულად გამოვიდნენ ინფორმაციით აღმასკომების მუშაობისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები სესიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ სისტემატურად აწვდიდნენ ინფორმაციას თავიანთ ამომრჩევლებს და იღებდნენ ზომებს მათი შესასრულებლად;

გ) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი დეპუტატებს მოვალეობათა შესრულებაში; ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების უკეთ ორგანიზაციის მიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით სისტემატურად მიაწოდონ მათ საცნობარო მასალა საბჭოებისა და აღმასკომების მუშაობის შესახებ; მიიღონ ზომები განაწესების, საანგარიშო კრებებზე და დეპუტატებთან სხვა შეხვედრების დროს ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებების დროული განხილვისა და შესრულებისათვის. განაწესების და წინადადებების შესრულების საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები და მუდმივი კომისიები;

დ) დაეხმარონ მუდმივ კომისიებს საქმიანობის სწორად წარმართვაში, შეუქმნან მათ მუშაობის სათანადო პირობები, მიაღწიონ იმას, რომ კომისიები სრულად იყენებდნენ კანონით მინიჭებულ უფლებას—კონტროლი გაუწიონ საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაონ რეკომენდაციები გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ე) უზრუნველყონ საბჭოების მუშაობის საჯაროობა; მიიღონ ზომები, რათა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, მუდმივმა კომისიებმა, განყოფილებებმა და სამმართველოებმა ანგარიში თავიანთი მუშაობის შესახებ რეგულარულად ჩააბარონ მოსახლეობას;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს, შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვას, შრომისადმი მუშების, კოლმეურნეების და მოსამსახურეთა შეგნებულ დამოკიდებულებას, წარსულის მავნე გადმონაშთების — ქელეხების, რელიგიური დღესასწაულების და სხვ. წინააღმდეგ ბრძოლას;

ზ) მეტი დახმარება გაუწიონ ქვემდგომ საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში, საბჭოების მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე პერიოდულად მოიწვიონ აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირ-სემინარები.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიოს ადგილობრივ საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1976 წლის 31 აგვისტო.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 140 „წიაღის შესახებ" საქართველოს სსრ კოდექსის პროექტის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემოტანილი „წიაღის შესახებ" საქართველოს სსრ კოდექსის პროექტი გადაეცეს საქართველოს სსრ უმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის და ბუნების დაცვის მუდმივ კომისიებს. მუდმივმა კომისიებმა განიხილონ პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1976 წლის 31 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 141 საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის სახელზე შემოსული დეპეშების, განცხადებებისა და საჩივრების შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღების ინფორმაცია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის სახელზე შემოსული დეპეშების, განცხადებებისა და საჩივრების შემოწმების შედეგების შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1976 წლის 31 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 142 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1976 წლის პირველ ნახევარში შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვის მდგომარეობისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღების მოხსენებითი ბარათი „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1976 წლის პირველ ნახევარში შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვის მდგომარეობისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ" მიღებულ იქნეს ცნობად და დაეგზავნოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებს, უწყებებს, ამასთან, დაევალოს მათ:

ა) გადაჭრით აამაღლონ მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის დონე, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები მოქალაქეთა პირადი მიღების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მთელი ეს საქმიანობა წარმართონ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის, სკკპ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტების დადგენილებების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების მოთხოვნათა შესაბამისად;

